პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 ივნისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 116 (9783) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს ცურვის კვირეული





# თბილისში, საირმის ქუჩაზე...

ამ დღეებში, ცურვის კვირეულთან დაკავშირებით, დიდი გამოცოცხლებაა თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის წყალბურთის სპორტსკოლაში (დირექტორი მერაბ ქართველიშვილი).

სპორტსკოლის აღსაზრდელები ასაკის მიხედვით ჯგუფებად დაყვეს და შიდასაკოლექტივო პირველობებს მართავენ. ნორჩი წყალბურთელები ესტაფეტებშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამას გარდა, აქ პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობებიც მიმდინარეობს. ერთნი ცურვის ანბანს ითვისებენ, მეორენი ბურთის დამორჩილებას ცდილობენ, მესამენი — სტაჟიანები — სრულყოფენ ოსტატობას.

სკოლამ თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელებს და საკავშირო ნაკრებს ბევრი შესანიშნავი სპორტსმენი აღუზარდა. მათ შორის აქ იწრთობოდნენ ვლადიმერ ისელიძე და ნოდარ კურტანიძე. თბილისის „დინამოსა" და ჩვენი ქვეყნის ნაკრების წყალბურთელთა სხვადასხვა ნაკრების დღევანდელ შემადგენლობაში ახლაც არიან ამ სკოლის „კურსდამთავრებულები".

სამწუხაროდ, სკოლის აუზი, უფრო სწორედ, მთელი კომპლექსი, რომელიც თბილისში, საირმის ქუჩაზე მდებარეობს, მრავალი წლის განმავლობაში რემონტში ან კაპიტალურ რემონტში იყო და აქაური სპორტსმენები კარდაკარ დადიოდნენ სავარჯიშოდ. შარშან, როგორც იქნა, კაპიტალური რემონტი დამთავრდა და მუშაობაც გაჩაღდა. სკოლის აღსაზრდელები გიორგი ბეჟანიშვილი, გიორგი მახარაძე და



სერგეი გოგიჩევი ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატებად დაასახელეს, ამის გამო წლეულს აპრილში სკოლას „ოლიმპიური რეზერვის" სტატუსი მიენიჭა. ასეთ პატივს გამართლება უნდა და აქაურმა მოზარდებმა ამას წინათ კვლავ გამოიჩინეს თავი. როგორც ვიუწყებოდით, 1975 წელს დაბადებულ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირში, რომელიც კიევში გაიმართა, ამ სკოლის აღსაზრდელთა გუნდმა ყველას აჯობა. ამას გარდა, მათ დაისაკუთრეს საუკეთესო მცველისა და მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზებიც.

რაღა გასაკვირია, რომ სკოლის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვლადიმერ საფრონოვს ამას წინათ თბილი სიტყვებიც ჩაუწერია და მისი მუშაობაც კარგად შეუფასებია.

იმედია, სკოლის მწვრთნელები მაღალ შეფასებას კვლავაც გაამართლებენ.

**ავთანდილ ბურასაშვილი.**

ავტორის ფოტოები.

# +1 ჯანმრთელობის ბანაკის იუბილე

**საქართველოს** პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკს 30 წელი შეუსრულდა. ჯერ კიდევ 1962 წელს ბაკურიანში მხოლოდ რამდენიმე კარავი და ორი ფინური სახლი გვქონდა. რასაკვირველია, ისინი სტუდენტთა მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა, ამასთან მისი შევსებაც კი გვიჭირდა, რადგან ახალგაზრდებს ზაფხულობით ზღვა უფრო იზიდავდათ, ვიდრე მთა. ამის გამო გადაწყდა 1965 წელს გამაჯანსაღებელი სპორტული ბანაკი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ჩატარებულიყო, შემდეგ წელს კი—სოხუმში. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპო-

1978 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა და პარტიული კომიტეტის მდივანმა ლესელიძეში მიავლინეს ინსტიტუტის არქიტექტორთა ბრიგადა, რომელმაც დააპროექტა 4-სართულიანი, 300-ადგილიანი საძილე კორპუსი, ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ხელბურთის, ჩოგბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები. ჯერ გადაწყვეტილი იყო მშენებლობა წილობრივად ეწარმოებინათ „საქნავთთან", მაგრამ უარი ვთქვით ასეთ მშენებლობაზე და ინსტიტუტშივე გამოინახა სახსრები სამუშაოთა დასაფინანსებლად. გარდა ამისა, სასწავლებლის საამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტები ოთხი წლის განმავლობაში ზაფხულო-



პოლიტექნიკოსთა ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი.

რტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა.

მხოლოდ 1968 წელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ინსტიტუტს გადაეცა 4 ჰექტარი მწვანეში ჩაფლული ნაკვეთი შავი ზღვის სანაპიროზე — დაბა ლესელიძის პატარა, მშვენიერი კუთხე, სადაც ახლა მდებარეობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამაჯანსაღებელი ბანაკი, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო მეტ დამსვენებელს იზიდავს. აქ უკვე დაისვენა და ჯანმრთელობა გაიკაჟა 6 ათასზე მეტმა სტუდენტმა, მათ შორის 485 უცხოელია.

1968 წელს იქ ერთი საცხოვრებელი შენობა და რამდენიმე უვარგისი სათავსო იდგა და ბანაკი მხოლოდ ას კაცს ემსახურებოდა. შემდეგ ეს ციფრი კარვების ხარჯზე 150-მდე გაიზარდა. მაგრამ ყველაფერი მაინც არ იყო საკმარისი.

ბით მუშაობდნენ ლესელიძეში დეკანის მოადგილის გივი მახარაძისა და კათედრის გამგის მოადგილის რევაზ ცირეკიძის ხელმძღვანელობით.

და აი, დადგა ეს დღე, როცა მწყობრშია საუცხოო სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკი. სტუდენტთა პირველ ნაკადს პირველი ივლისიდან მივიღებთ, მეორეს — 21 ივლისიდან, მესამეს 10 აგვისტოდან. წელსაც და მომავალშიც სპორტულ ბანაკში სტუდენტებს დასვენებისა და გაჯანსაღების საუკეთესო პირობები ექნებათ.

**მამია ხანიკიძე,**
**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.**

# ნინო სალუქვაძის მორიგი მედლები

**მოსკოვის** ოლქის „მიტიშჩის" ოლიმპიურ სასროლეთზე 19 წლის თბილისელი მსროლელი ნინო სალუქვაძე განაგრძობს ჩვეულ საქმიანობას — ოქროს მედლების შეგროვებას. ნინომ ქვეყნის ჩემპიონატის კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა მპ-10 ვარჯიშში — 582 ქულა.

წინა დღეს კი, როგორც უკვე გაცნობეთ, ნინომ ოლიმპიურ დისციპლინაში, პნევმატური პისტოლეტის სროლაში (პპ-2) გაიმარჯვა. მას ძირითადი სერიების შემდეგ 389 ქულა ჰქონდა, შესანიშნავად გამოვიდა ფინალშიც (100,7 ქულა) და 489,7 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. მეორე ადგილზე გასული ქვეყნის ნაკრების წევრი სვეტლანა სმირნოვა ქართველ სნაიპერს მთელი 5 ქულით ჩამორჩა (484,8), მესამე ადგილზე გავიდა ირინა ეშმოვა — 482,1 ქულა.

არაოლიმპიურ დისციპლინაში (მპ-10) კი ნინო სალუქვაძის უპირატესობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, მან 582 ქულა მოაგროვა და 11 ქულით (!) გაუსწრო იმავე სვეტლანა სმირნოვას. 570 ქულა აქვს ბრინჯაოს მედლის მფლობელს ნ. პეტროსიანს.

**„იმედის სტარტები"** მოსწავლეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან, მასობრივ შეჯიბრებად ითვლება. სწორედ ასეთი გამოდგა ამ ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა გამოსვლებიც თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

ამ შეჯიბრების შედეგებს „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**გუშინ** თბილისში, გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სკოლაში დამთავრდა „იმედის სტარტების" პროგრამაში შემავალი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ტურნირი. შეჯიბრებაში 12 გუნდი მონაწილეობდა. ტანმოვარჯიშეები ერთმანეთს სამ სახეობაში ეჯიბრებოდნენ: თავისუფალ ვარჯიშში, ძელზე მიზიდვასა და ზურგზე წოლიდან წამოჯდომაში.

**სურათებზე:** **„იმედის სტარტებისადმი" მიძღვნილ ასპარეზობათა მომენტები.**

# ვ. იაგორაშვილი სეულს შეიძნებს

**ლენინგრადში** გამართულ თანამედროვე ხუთჭიდელთა ღია საკავშირო პირველობაზე თავიდანვე ლიდერობდა თბილისელი სპორტსმენი ვ. იაგორაშვილი. ვახტანგმა, რომელიც სამი სახეობის შემდეგ საკმაოდ უსწრებდა მდევრებს მასპინძელ იუფეროვსა და ბელორუსელ გერასიმოვიჩს, არც ცეცხლის ხაზზე დათმო პოზიციები, ყველაზე მეტი — 197 ქულა მოაგროვა პისტოლეტის სროლაში. ამის წყალობით იგი ინარჩუნებდა საერთო პირველობას და 144 ქულით უსწრებდა ლენინგრადელ მეტოქეს, ხოლო მესამე ადგილზე მყოფ მოსკოვის ოლქის წარმომადგენელ ავდეევს — 182-ით.

ვ. იაგორაშვილმა მძლეოსნურ კროსშიც წარმატებით იასპარეზა და 5.648 ქულით პირველი ადგილი დაიმკვიდრა.

ეს იყო სეულის ოლიმპიადის ერთ-ერთი შერჩევითი ასპარეზობა და ქართველმა ხუთჭიდელმა წარმატებით განვლო იგი.

## ელვა-ინფორმაცია

**კიშინიოვში დამთავრდა ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების გოგონათა მრავალდღიანი ველორბოლა, სადაც თავი ისახელა ქობულეთელმა 17 წლის სპორტის ოსტატმა სტელა პრიახინამ და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. საგულისხმოა, რომ იგი მხოლოდ 15 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს. ჩემპიონის — ზ. სტაგურსკაიას დროა 10:26,18, ს. პრიახინასი 10:26,33.**







ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების წინ

# ოპტიმიზმის საფუძველი

**ჭაბუკთა** რესპუბლიკური პირველობა ტრეკზე, რომელიც ამ დღეებში თბილისში ჩატარდა, საკავშირო სპორტული თამაშების წინ ძალთა უკანასკნელი დათვალიერება იყო. სწორედ ამიტომ შეჯიბრება პროგრამის ყველა სახეობაში მძაფრი და უშეღავათო ბრძოლით აღინიშნა. და უნდა ითქვას, რომ მწვრთნელთა ვარაუდი (სპრინტის სახეობებში გუნდის მზადებას სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ფხაკაძე ხელმძღვანელობს) მთლიანად გამართლდა. ბრძოლას ყოველ სახეობაში ტონს უკვე აპრობირებული და აღიარებული ფავორიტები აძლევდნენ.

ასე მაგალითად, 200 მეტრზე გიტში (სვლით) პირველი ადგილი განათლების სამმართველოს წარმომადგენელმა ედუარდ კარაპეტიანმა (წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ შეჯიბრების ყველა პრიზიორი სწორედ განათლების სამმართველოს ველოსიპედისტი იყო) დაისაკუთრა. მისი შედეგი 11,1 წამი სპორტის ოსტატის ნორმატივია.

ამ სახეობაში მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ გიორგი გელაშვილი (11,3) და კახა ამონაშვილი (11,4).

ეს სამეული ზუსტად ასეთივე თანმიმდევრობით უძლიერესი იყო ერთ კილომეტრზე გიტსა და სპრინტში. გიტში პრიზიორებმა შესაბამისად აჩვენეს: კარაპეტიანი — 1.10,0, გელაშვილი — 1.10,4, ამონაშვილი — 1.13,2.

ერთი სასიამოვნო ცნობაც. გოგონათა 200 მეტრიან გიტში თბილისელმა ოლგა საპრიკინამ რესპუბლიკური რეკორდის გაუმჯობესება სცადა და წარმატებასაც მიაღწია. ამიერიდან რესპუბლიკური რეკორდი როგორც გოგონების, ისე მოზრდილებისთვის 12,9 წამი იქნება. საქართველოს ძველი რეკორდი ქუთაისელ ელისო დოხნაძეს ეკუთვნოდა და 13,2 წამს უდრიდა. საპრიკინას ეს წარმატებაც კარგი სამომავლო განაცხადია.

რა შეიძლება ითქვას საერთოდ ამ შეჯიბრების შედეგებზე? პირველ ყოვლისა ის, რომ ოპტიმიზმის გარკვეული საფუძველი გვაქვს. ჯერ ერთი, ასეთი მაღალი და, რაც მთავარია, სტაბილური შედეგები ჩვენს ჭაბუკ ველოსიპედისტებს კარგა ხანია არ ჰქონიათ. მეორეც, საკავშირო თამაშებში, როგორც ცნობილია, 1971-1972 წლებში დაბადებული ველოსიპედისტები გამოდიან, ჩვენი გუნდი კი მთლიანად ახალგაზრდულია — ყველა მონაწილე 1972 წელსაა დაბადებული. დაბალი ასაკის სპორტსმენები რომ თანაბრად ასპარეზობენ უფროს მოზრდილებთან, თავისთავად კარგი ნიშანია. თანაც, შეჯიბრების პროცესში ოსტატის რამდენიმე შედეგი აჩვენეს.

საქართველოს ველოსიპედისტები უკანასკნელ სამზადისს მოსკოვში გაივლიან, მერე კი ივლისის პირველ რიცხვებში ტულაში ჩავლენ. ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ველოსიპედისტთა ტურნირი სწორედ ამ ქალაქში მოეწყობა.

საქართველოს ჩემპიონატი ტყვიის სროლაში

# უფავორიტებოდ...

**ტყვიის** მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატის წინ ეშერაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა, მაგრამ ეს არ იყო ძალების დათვალიერების ნამდვილი პრელუდია. ყველასათვის ისედაც ცხადი იყო, თუ ვინ იასპარეზებდა „მიტიშჩის" ოლიმპიურ სასროლეთზე, მით უმეტეს, რომ ჩვენი წამყვანი მსროლელები ნინო სალუქვაძე, ილია ჩაგანავა, მარინა აბაკელია, ანდრეი დოლგარიოვი, არტემ ძამოევი, მეგი ხუბულაშვილი უკვე იქ იმყოფებოდნენ საწვრთნელ შეკრებაზე და ცხადია, რესპუბლიკის ჩემპიონატში არ გამოსულან.

ამის გამო ეს უკანასკნელი შეჯიბრება ერთგვარად რიგით ასპარეზობად გადაიქცა (რაც შედეგებსაც დაეტყო), მაგრამ რომ ვთქვათ, მას არავითარი დანიშნულება არ ჰქონდაო, არ იქნება მართალი. ამ ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ შემოწმდა ჩვენი მსროლელთა ნაკრები, რომელიც ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში მონაწილეობისთვის ემზადება. ამ ამოცანის გაადვილების მიზნით მწვრთნელებმა თბილისის მე-2 გუნდი მხოლოდ ახალგაზრდა მსროლელებით დააკომპლექტეს და მათ დედაქალაქელთა პირველ გუნდს აჯობეს.

ამ კოლექტივებთან ერთად ეშერაში მასპინძელთა — აფხაზეთის მსროლელთა გარდა ასპარეზობდნენ ქუთაისისა და ფოთის სპორტსმენები. აჭარის გუნდის ხელმძღვანელებმა საგამოცდო სესიები მოიმიზეზეს და ჩემპიონატზე სპორტსმენები არ გამოიყვანეს. რაც შეეხება ფოთის გუნდს, იგი ფაქტიურად ახლა ყალიბდება ახალგაზრდა მწვრთნელის ნიკო მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით. თუმცა ფოთელებმა ეშერაში წარმატებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მათი ასაკი და ისიც, რომ ორი მათგანი უკვე მოხვდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩემპიონატში რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არავის უჩვენებია, თუმცა ორმა ახალგაზრდა მსროლელმა ოლეგ ოგოლენკომ და პაატა რუამ პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი. ჩემპიონატში სულ 74 სპორტსმენი მონაწილეობდა.

**შედეგები** — კვარცხლბეკი

**ქალები. მპ-5.** ნ. უჩაძე (ქუთაისი) — 581+98; ი. აქმიაკოვა — 580+97; დ. კულჩიცკაია (ორივე — თბილისი-II) — 563+97.

**პპ-2.** ხ. გაკაპაშვილი (თბილისი-II) — 378; აქმიაკოვა — 371; კულჩიცკაია — 366.

**მპ-10.** უჩაძე — 540; გაკაპაშვილი — 538; კულჩიცკაია — 538.

**მშ-9.** მ. მელქაძე (ქუთაისი) — 583; ნ. მაისურაძე (თბილისი-I) — 582; ხ. ბერიკაშვილი (თბილისი-II) — 581.

**მშ-5.** მაისურაძე — 553+87; ი. მელნიკოვა (თბილისი-II) — 549+90; ბერიკაშვილი — 554+81.

**პშ-4.** ბერიკაშვილი — 379+93; მელნიკოვა — 370+96; მაისურაძე — 372+93.

**ვაჟები. პპ-3.** ა. კუჭუხიძე (აფხაზეთი) — 573+94; დ. გევორქოვი — 571+94; ვ. ბულგაკოვი (ორივე — თბილისი-II) — 560+97.

**მპ-8.** ა. კუჭუხიძე — 584+96; გევორქოვი — 582+97; გ. ქველიაშვილი (თბილისი-II) — 580+93.

**მპ-6.** გევორქოვი — 538+85; ს. ერმიშიანი (თბილისი-I) — 531+91; კუჭუხიძე — 534+88.

**მშ-9.** ვ. სამოილენკო (თბილისი-I) — 594+100; თ. ქოიავა (აფხაზეთი) — 592+99; ო. ოგოლენკო (თბილისი-II) — 595+96.

**მშ-6.** სამოილენკო — 1146+89; ვ. კულუმბეგოვი (თბილისი-II) — 1139+88; ქოიავა — 1132+90.

**პშ-6.** სამოილენკო — 580+95, ქოიავა — 577+97; კ. გევორქიანი (აფხაზეთი) — 565+91.

**მშ-12.** ა. მიტინიანი (თბილისი-I) — 579+95; დ. აფციაური — 565+93; გ. ნატროშვილი (ორივე — თბილისი-II) — 567+89.

**გუნდური.** 1. თბილისი-II — 820; 2. თბილისი-I — 554; 3. აფხაზეთი — 327; 4. ქუთაისი — 296.



# „კედარი" და მინიფეხბურთი

მინიფეხბურთელთა ეს ასპარეზობა საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს მიეძღვნა და ორ თვეს გასტანა. მისი ორგანიზატორია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი რესპუბლიკური კლუბი „კედარი", რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო კოლექტივებს. კლუბს მინისტრის მოადგილე ბ. მინდელი ხელმძღვანელობს.

ორ ზონაში განაწილებული უძლიერესი გუნდებიდან ორ-ორი ფინალში მონაწილეობის უფლებას ღებულობდა. აღმოსავლეთ ზონაში ყველას აჯობეს თბილისის „განთიადისა" და სასკოლო ინვენტარის ფაბრიკების წარმომადგენლებმა, დასავლეთის ზონაში კი ბათუმის ხის დამმუშავებელი და მარელისის ავეჯის ფაბრიკების კოლექტივებმა იმარჯვეს.

პირველობის ეს ოთხი პრეტენდენტი შეიკრიბა ბათუმში, სადაც გაიმართა გადამწყვეტი შეხვედრები. მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტურნირი საინტერესოდ და საზეიმო ვითარებაში ჩატარდა.

პირველი ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის ხის დამმუშავებელი და თბილისის „განთიადის" ფაბრიკების გუნდები. დაძაბული მატჩი მასპინძლებმა მოიგეს (4:2) და ტურნირის გამარჯვებულის სახელიც მათ მოიპოვეს.

სამწუხაროდ, ტურნირს თავი აარიდეს ცხინვალის ავეჯის ფაბრიკის, ქუთაისის ავეჯის კომბინატის, თბილისის ავეჯის დეტალების კომბინატის, გაერთიანება „მერქნის" წარმომადგენლებმა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ეს საწარმოები არ მონაწილეობენ ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში.

**ი. გევორქიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

**სურათზე: ფინალური მატჩის მომენტი.**

**გ. კანოტიას ფოტო.**

## მოკლედ

**ახალციხის** რაისაბჭოს და აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირების თაოსნობით ჩატარდა რაიონის პირველობა ფეხბურთში კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს შორის. საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 გუნდი.

ფინალში ერთმანეთს მინაძის საბჭოთა მეურნეობისა და წყრუთის გუნდები შეხვდნენ. თამაში მინაძელთა გამარჯვებით — 5:1 დამთავრდა. შეჯიბრებაზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის.

**ბიჟი მიქელაძე.**

# შეჯიბრება შეჯიბრებას მოსდევს

**აჭარაში** ბოლო პერიოდში შეჯიბრება შეჯიბრებას მოსდევდა. ასპარეზობა ერთი ადგილიდან მეორეზე ინაცვლებდა, რაც, ბუნებრივია, სპორტულ მოძრაობას ხელს უწყობდა.

პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ ბათუმისა და ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების ნაკრები გუნდები. აქ ყველას ბათუმის ნაკრებმა აჯობა.

• • •

**ბათუმის** 76-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში (დირექტორი რევაზ ნაკაშიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ვაჟა ცინცაძე) 500-მდე ქალიშვილი და ჭაბუკი სხვადასხვა სპეციალობას ეუფლება. ყველა მათგანი მშდ-ს ნიშნოსანია, ბევრიც — თანრიგოსანი სპორტსმენი.

ამ სასწავლებლის ყველა მოსწავლე ამას წინათ ერთსულოვნად გამოვიდა შაბათობაზე. მათ მოაწესრიგეს და დაასუფთავეს თავიანთი სპორტული ბაზები. ისინი ამავე საქმეში დაეხმარნენ თავიანთ შეფ ორგანიზაციებსაც, სადაც საწარმოო პრაქტიკას გადიან.

შაბათობის დასასრულს სასწავლებლის სპორტულ დარბაზსა და ღია მოედანზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში საჩვენებელი გამოსვლები გაიმართა.

• • •

**ხელვაჩაურის** რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა ტურნირი, რომელშიც 12 კოლექტივი მონაწილეობდა, ხელვაჩაურის საშუალო სკოლის წარმომადგენელთა გამარჯვებით დამთავრდა.

ამავე რაიონის პირველობაზე გაიმართა შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკში და ფრენბურთში.

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს ახალშენის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა. შაშში უძლიერესები იყვნენ ახალსოფლელები. მოჭადრაკეთა ტურნირში ახალსოფლელები პირველობდნენ, ფრენბურთში კი ყველას გახოელებმა აჯობეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები თხილნარელი სპორტსმენები გახდნენ.

• • •

**ბათუმის** განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის დარბაზში დასრულდა აჭარის მოსწავლეთა მე-40 სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ძიუდოში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობებში.

საინტერესოა, რომ წინა სპარტაკიადებზე ჭიდაობის ყველა სახეობაში მხოლოდ ბათუმელი ფალავნები დომინირებდნენ, წლევანდელში კი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონს ჰყავს ჩემპიონი, უფრო მეტიც: ძიუდოისტთა გუნდურ პირველობაში ყველას ხელვაჩაურელებმა აჯობეს, ხოლო ქობულეთელებმა არავის დაუთმეს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, იმედისმომცემი ფაქტია — აჭარის რეგიონებში ჭიდაობა პოპულარული და მასობრივი ხდება.

რაც შეეხება კლასიკურ ჭიდაობას, აქ კვლავ ბათუმელებმა იმარჯვეს.

**ლევან ქავჟარაძე,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

ბათუმი.

სპორტი ყველასათვის!

# საღამოხანს, ჩვენს ეზოში...

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თაოსნობით

ყველასათვის ნაცნობი სურათია — საღამოხანს, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, მობინადრეებით ივსება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოები. ზოგი დომინოს მიუჯდება, ზოგი — ჭადრაკს, ვინ — უბრალოდ საუბრობს, ყვება ახალ ამბებს... მერე ტელეეკრანის ცისფერი შუქი მიადგება ფანჯრებს და ნელ-ნელა იშლებიან მეზობლები, ყველა თავის „ბუდეს" მიაშურებს. ეზოებში, მარტივი ტიპის (და, რა დასამალია, ვალის მოხდის მიზნით მოწყობილ) სპორტულ მოედნებზე კი მხოლოდ „დაღლილი" ავტომანქანები „თვლემენ"...

ამ დღეებში ქუთაისის ეზოების ჩვეული მყუდროება ნაწილობრივ დაარღვია პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭომ, რომელმაც პირველი საქალაქო სპარტაკიადა მოაწყო საბინაო სამმართველოების გუნდებს შორის. პირობა ასეთი იყო: გუნდები 30 წელზე მეტი ხნის მობინადრეებით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული. შეჯიბრება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა, ეს კი მთავარი მსაჯის, ქუთაისის საბინაო სამმართველოების სამმართველოს უფროსი პედაგოგ-ორგანიზატორის მაგული გიორგაძის დამსახურებაცაა.

თავი გამოიჩინეს მე-4 სამშენებლო ტრესტის საბინაო სამმართველოს (ფიზკულტურის მეთოდისტი ზ. ბრეგვაძე) წარმომადგენლებმა, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს ფრენბურთში (ქალები), ჭადრაკში, ფრენბურთში (ვაჟები), მინი-ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. ისინი სხვა სახეობებშიც საპრიზო ადგილებზე გავიდნენ და გარდამავალი თასის პირველი მფლობელები გახდნენ. მეორე-მესამე ადგილები მე-8 და მე-9 საბინაო უბნების გუნდებმა დაიკავეს. პრიზიორებს ქულათა მცირე სხვაობით ჩამორჩნენ მე-4 და მე-5 უბნების მცხოვრებლები.

ზემოთ სიტყვა „ნაწილობრივ" ვახსენეთ. ეს იმიტომ, რომ პირველმა სპარტაკიადამ ჯერჯერობით ყველა ეზოში ვერ შეაღწია. მიზეზი? მე-11, მე-13 და სხვა საბინაო-საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელთა უმოქმედობის შედეგად ამ უბნების მცხოვრებლები შეჯიბრებას გამოაკლდნენ და გახალისების ნაცვლად კვლავ ტელევიზორებსა და დომინოს მაგიდას შემოუსხდნენ.

პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს მობინადრეთა სპარტაკიადა ტრადიციული გახადონ. თუ მათს ამ თაოსნობას საბინაო-საექსპლოატაციო უბნების მუშაკებმა მხარი არ დაუჭირეს, ეს საინტერესო წამოწყება იმ მასშტაბს ვერ შეიძენს, სპარტაკიადის ორგანიზატორებსა და ყველა ჩვენთაგანს რომ სურს. სურვილი კი ერთია: საღამოხანს ჩვენი ეზოები მეზობელთა მხიარული შეჯიბრების სარბიელად იქცეს.

**თამაზ კოლხიდელი.**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

# ევროპა, ევროპა...

**დანიის** ნაკრები ორი ტურის შემდეგ გამოეთიშა ევროპის ჩემპიონატში დაწინაურებულთ. დანიელებმა ზედიზედ მეორე თამაში წააგეს, ნახევარფინალში გასასვლელად მათ უკვე არავითარი შანსი აღარა აქვთ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დანიის გუნდების მატჩი გელზერკირჰენის სტადიონზე უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ორივე გუნდს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა: გფრ-ის ნაკრებს, როგორც ჩემპიონატის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტს და მასპინძელს, ჰაერივით ესაჭიროებოდა გამარჯვება, დანიელებს კი ესპანელებთან პირველი მატჩის წაგების შემდეგ საერთოდ აღარ ჰქონდათ უკან დასახევი გზა. დანიის გაზეთები ხშირად ახსენებდნენ თავიანთ ფეხბურთელებს, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში მათ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი და შექმნილი ვითარების შესაბამისად ახლაც ვალდებული იყვნენ იგივე გაეკეთებინათ.

მატჩის დასაწყისი ერთგვარი სიფრთხილით აღინიშნა, მაგრამ მე-10 წუთზე, როცა დანიელთა მეკარის შმაიჰელისა და დასავლეთგერმანელი ფიოლერის შეტაკების შემდეგ მეკარეს ბურთი გაუვარდა და კლინსმანმა იგი ბადეში გაგზავნა, პირვანდელი სიფრთხილის ნატამალგრა[illegible]არ დარჩა, ბრძოლა უკიდუ[illegible]ად გამწვავდა, თუმცა, დანიელი ფეხბურთელები ბევრს ეცადნენ, კერძოდ, სრული დატვირთვით თამაშობდნენ ელკიაერი, ლერბიუ, ნილსენი, ლაუდრუპი და სხვანი, საერთო უპირატესობა მაინც ჩემპიონატის მასპინძელთა მხარეს იყო, მათი შემადგენლობიდან განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბუხვალდი, ბრემე, ლიტბარსკი, მათეუსი, ტონი...

წუთით არ დამცხრალა ბრძოლა შესვენების შემდეგაც, დანიელმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს რაც კი შეეძლოთ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც მსაჯის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ტონმა თავით გაგზავნა მეტოქის კარში, ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდა — 2:0. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები ლიდერის პოზიციაზე გავიდა, ხოლო დანიელები აუტსაიდერებად დარჩნენ.

ევროპის ჩემპიონატის ყოველი მატჩი მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს, თითოეული გუნდი და ცალკეული ფეხბურთელები თამაშის უმაღლეს კლასს ავლენენ და ამ ფონზეც ერთ-ერთი ყველაზე შინაარსიანი და სანახაობრივად დაძაბული გახლდათ იტალიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა. მეტოქეები დაახლოებით ერთი სტილისა და ხელწერისა არიან, ამიტომაც მთელი მატჩი ლამაზი, იმპროვიზაციული, შემტევი ფეხბურთის ნათელი დემონსტრაცია გახლდათ. გვახსოვს, წარსულ წლებში იტალიელებს ზედმეტ პრაქტიციზმსა და დაცვითი თამაშის მოჭარბებულ ტენდენციებს აყვედრიდნენ, მაგრამ ის გუნდი, რომელიც ახლა წარმატებით იბრძვის ევროპის ჩემპიონობისთვის, თანამედროვე, პროგრესული, შემტევი ფეხბურთის ნათელი ნიმუშია.

იტალიელებმა კურსი თავიდანვე სწრაფ შეტევაზე აიღეს, ესპანელთა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მცველებსაც ხშირად ნახავდით, ვიალი, მანჩინი, დი ნაპოლი, დონადონი და სხვანი განუწყვეტლივ ხლართავდნენ რთულ საიერიშო კომბინაციებს. ვალში არც ესპანელები დარჩენილან, მთელი სიძლიერით თამაშობდნენ ვიქტორი, გალიეგო, გორდილიო, ბუტრაგენიო.

მეტად საინტერესო მატჩის ბედი 73-ე წუთზე გადაწყდა, როცა მარჯვნიდან მოწოდებული ბურთი ალტობელიმ ფეხქვეშ გაატარა, იგი ვიალიმ მიიღო და დაუყოვნებლივ გაგზავნა ბადეში — 1:0. იტალიელებმა დამსახურებული, ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს.

ჩემპიონატის I ჯგუფში ორი ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გფრ** | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| **იტალია** | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| **ესპანეთი** | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 2 |
| **დანია** | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

* * *

გუშინ ჩემპიონატზე ორი შეხვედრა გაიმართა. ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების მეტად მნიშვნელოვანი მატჩის შედეგია 3:1 ჰოლანდიელთა სასარგებლოდ.

გვიან ღამით დამთავრდა ირლანდიისა და სსრ კავშირის გუნდების შეხვედრა.

## ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

# ჰოლანდიელთა „ცივი შხაპი“

**უცხოეთის** საფეხბურთო პრესა ვრცელ კომენტარს უკეთებს ევროპის ჩემპიონატის მატჩს სსრ კავშირისა და ჰოლანდიის გუნდებს შორის. ბევრი მიმომხილველის აზრით, ეს ნამდვილი „ცივი შხაპი“ იყო ჰოლანდიელთათვის, ისინი მოულოდნელად წააწყდნენ მძლავრ „რუსულ კედელს“.

როგორც ჰოლანდიური გაზეთი „ტელეგრაფი“ აღნიშნავს, ჰოლანდიელებმა საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრაში მწარე გაკვეთილი მიიღეს. გამარჯვებულები თანდათან, მეთოდურად, დაბეჯითებით აძლიერებდნენ თამაშს, ჰოლანდიელ ფეხბურთელებს მატჩის მეორე ნახევარში ხელიდან გამოეცალათ ტერიტორიული უპირატესობა, საბჭოთა გუნდმა კი დიდი ნებისყოფა და მტკიცე დისციპლინა გამოავლინა, ამასთან, საუკეთესოდ ითამაშეს მცველებმა და მეკარე დასაევმა.

გაზეთი „ალგემეინ დაგბლადი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნაკრებმა, შესაძლოა, ვერ დაიმსახურა ლამაზი თამაშის პრიზი, მაგრამ ამ შემთხვევაში გამარჯვება მისთვის გაცილებით უფრო სასარგებლო და საჭირო იყო, ჰოლანდიელებს ძვირად დაუჯდათ თავიანთი ფლანგების უმოქმედობა, ცენტრში მათ ვერაფერი გააწყვეს მცველთა წინააღმდეგ.

„ფოლქსკრანტი“ მაღალ შეფასებას აძლევს რ. დასაევის საუცხოო თამაშს, იგი დაუძლეველი აღმოჩნდა გულიტის, კუმანის, ვან ბასტენისა და სხვებისთვის.

ამავე დროს დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი გაზეთი გაწბილებულია მატჩის საშუალო სპორტული დონით, ჟურნალისტთა აზრით ჰოლანდიელები უფრო ტექნიკურად, სანახაობრივად თამაშობდნენ და, აქედან გამომდინარე, არ უნდა წაეგოთ შეხვედრა, ამავე დროს სპეციალისტები აღნიშნავენ საბჭოთა ფეხბურთელთა საუკეთესო ფიზიკურ მომზადებას. ჰოლანდიელებთან შედარებით მათ გაცილებით უფრო მეტი იშრომეს, უფრო მიზანსწრაფულნიც იყვნენ, თუმცა ზოგიერთი მიმომხილველი ეჭვს გამოთქვამს, რომ საბჭოთა გუნდი შემდგომ თამაშებსაც ასეთივე მაღალ დონეზე ჩაატარებს.

ჰოლანდიელთა უფროსმა მწვრთნელმა რინუს მიჰელსმა განაცხადა, რომ მაყურებელთა აქტიური მხარდაჭერის მიუხედავად მისმა ფეხბურთელებმა სრულად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი, ისინი მეტოქეთა მკაცრ მარწუხებში იყვნენ მოქცეული. ცალკეულ პერიოდებში მატჩი მეტად საინტერესო იყო, საბჭოთა ფეხბურთელები კარგად მოქმედებდნენ კონტრშეტევების დროს, ყოველ შემთხვევაში, თავიანთი შანსი მათ კარგად გამოიყენეს, მაშინ როცა ჰოლანდიელებმა ხელიდან გაუშვეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.



# ხულიგნები არ ცხრებიან

**როგორც** რეიტერის სააგენტო იუწყება, ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა კოლინ მოინიჰენმა მკაცრად გააკრიტიკა ბრიტანელი ხულიგანი გულშემატკივრები, ის ფანატიკოსები, რომლებმაც ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე ქ. შტუტგარტში ნამდვილი დებოში მოაწყეს. მინისტრმა ხულიგნებს ინგლისური ფეხბურთის „კიბოს სიმსივნე“ უწოდა და კვლავ მოითხოვა მათზე მკაცრი პოლიციური კონტროლის დაწესება.

ინგლისისა და ირლანდიის გუნდების შეხვედრის დროს ინგლისელმა გულშემატკივრებმა უშუალოდ სტადიონზე წესრიგის დარღვევა ვერ შეძლეს, სამაგიეროდ წაგებული მატჩის შემდეგ ვანდალიზმის აქტი მოახდინეს ქალაქის ცენტრში. კ. მოინიჰენმა სატელევიზიო ინტერვიუში კვლავ ხაზი გაუსვა, რომ ფანატიკოსთა ეს ვანდალური საქციელი მხოლოდ ზიზღს იწვევს ნორმალურ ადამიანთა შორის.

ზოგიერთ ინგლისელ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ინგლისის ნაკრებს 1966 წელს საკუთარ მინდორზე მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონობის შემდეგ რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი წარმატება აღარა ჰქონია, გულშემატკივრებმა კი ხულიგნობის მსოფლიო რეკორდები დაამყარეს, ამიტომაც ინგლისის ნაკრები უნდა მოიხსნას დიდი მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებებიდან.

პოლიციამ დებოშის მონაწილე გულშემატკივრები დააპატიმრა, მაგრამ ბევრი მათგანი... მეორე დილითვე გაათავისუფლა.

# ჩემპიონატის არქივი

**გთავაზობთ ევროპის VIII საფეხბურთო ჩემპიონატის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.**

**მატჩი № 1**

**იტალია — გფრ 1:1**

**I ჯგუფი. დიუსელდორფი.** 10 ივნისი. (მსაჯი კ. ჰაკეტი, ინგლისი). 68.500 მაყურებელი. გოლები: რ. მანჩინი (იტალია), ა. ბრემე (გფრ). გააფრთხილეს იტალიელი ფეხბურთელები კ. ანცელოტი და პ. მალდინი.

**მატჩი № 2**

**დანია — ესპანეთი 2:3**

**I ჯგუფი. ჰანოვერი.** 11 ივნისი. მსაჯი ა. თომასი (ჰოლანდია). 60.000 მაყურებელი. გოლები: მ. ლაუდრუპი, ფ. პოულსენი (დანია), მ. გონსალესი, ე. ბუტრაგენიო, რ. გორდილიო (ესპანეთი). გააფრთხილეს დ.-ა. კამაჩო, მ. ვიქტორი, რ. თომასი (ესპანეთი).

**მატჩი № 3**

**ინგლისი — ირლანდია 0:1**

**II ჯგუფი. შტუტგარტი.** 12 ივნისი. მსაჯი ზ. კირშენი (გდრ). 53.000 მაყურებელი. გოლი: კ. ჰაფთონი (ირლანდია).

**მატჩი № 4**

**ჰოლანდია — სსრ კავშირი 0:1**

**II ჯგუფი. კიოლნი.** 12 ივნისი. მსაჯი ა. პაული (გფრ). 60.500 მაყურებელი. გოლი: ვ. რაცი (სსრ კავშირი). გააფრთხილეს გ. ლიტოვჩენკო, ვ. ხიდიატულინი (სსრ კავშირი).

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა: დასაევი, ბესონოვი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, ლიტოვჩენკო, ზავაროვი (სულაქველიძე), პროტასოვი, ბელანოვი (ალეინიკოვი), მიხაილიჩენკო.

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

დაიწყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების მეორე წრე. წინასწარ ჯგუფებში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

**„ა“ ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„დინამო“ მნ.** | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 5 |
| **„ჟალგირისი“** | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 5 |
| **„ზენიტი“** | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 3 |
| **„დინამო“ კ.** | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 3 |

**„ბ“ ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„ნეფთჩი“** | 4 | 2 | 1 | 1 | 13-11 | 5 |
| **„შახტიორი“** | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 5 |
| **„კაირატი“** | 4 | 1 | 2 | 1 | 9-9 | 4 |
| **„დინამო“ თბ.** | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |

**„გ“ ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„სპარტაკი“ მ.** | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 6 |
| **„დინამო“ მ.** | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 5 |
| **„ტორპედო“ მ.** | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 3 |
| **„ლოკომოტივი“ მ.** | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |

**„ბ“ ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„ჩერნომორეცი“** | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 6 |
| **„დნეპრი“** | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 5 |
| **„მეტალისტი“** | 4 | 2 | 0 | 2 | 3-2 | 4 |
| **„არარატი“** | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |

# გათამაშების კალეიდოსკოპი

● **ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატისადმი ინტერესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წარმოუდგენლად დიდია. ვის არ ნახავთ აქ, ვინ არ მოეშურება საინტერესო საფეხბურთო ბრძოლების სანახავად: სამეფო გვარეულობათა წარმომადგენლები, პრემიერ-მინისტრები, დიპლომატები, მინისტრები, ხელოვნებისა და სპორტის გამოჩენილი ადამიანები. ის მომღერლები და მსახიობები, რომელთა სანახავად მაყურებლები თვეობით ეძებენ ბილეთს, ახლა თვითვე დგანან რიგში, როგორმე ხეირიანი ადგილი რომ იშოვონ სტადიონზე.

და, მაინც, საყოველთაო ყურადღების ცენტრში უშუალოდ ფეხბურთელები არიან. ტყავის ბურთის გამოჩენილ ოსტატებს ყოველ ნაბიჯზე უსაფრდებიან, გულშემატკივრები საათობით დგანან საწვრთნელ ბაზებთან, რათა ავტოგრაფი გამოტყუონ სახელმოხვეჭილ ოსტატებს. ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელმა ბობი რობსონმა ჰოლანდიელებთან მატჩის წინ ვარჯიში დახურულ საწვრთნელ ბაზაზე ჩაატარა, სადაც არა თუ გულშემატკივრები, ჟურნალისტებიც კი არ შეუშვეს.

● **სსრ კავშირის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ ჩემპიონატის დაწყების წინ განაცხადა, რომ შესაძლოა ტურნირზე წაიყვანოს არა 20, არამედ ნაკლები ფეხბურთელი, მაგრამ გფრ-ში ჩვენი გუნდი სრული 20-კაციანი შემადგენლობით ჩავიდა.

ახლა ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონატის დებულებაში დამატებითი პუნქტი შეიტანეს: ოფიციალურ განაცხადში მყოფი 20 ფეხბურთელის გარდა ყოველ გუნდს უფლება ეძლევა სამშობლოდან დამატებით გამოიძახოს მხოლოდ მეკარე. ჩემპიონატის ორგანიზატორთა აზრით შესაძლოა რომელიმე გუნდის ორივე მეკარემ ტრავმა მიიღოს, სწორედ ამ შემთხვევისთვის გაითვალისწინეს დამატებითი ადგილი კიდევ ერთი სათადარიგო მეკარისათვის.

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის VIII ტურის მატჩები: „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „გოიაზანი“ (გაზახი) 0:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „ტორპედო“ (ვოლჟსკი) 1:0. VIII ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სოკოლი“ | 8 | 6 | 1 | 1 | 17-9 | 13 |
| „ტორპედო“ ქ. | 8 | 6 | 1 | 1 | 15-8 | 13 |
| „მეტალურგი“ | 8 | 6 | 1 | 1 | 15-8 | 13 |
| „შევარდენი“-სპი | 8 | 5 | 1 | 2 | 14-7 | 11 |
| „ქიაფაზი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 18-9 | 9 |
| „დილა“ | 8 | 4 | 0 | 4 | 12-18 | 8 |
| „ტექსტილშჩიკი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 9-7 | 8 |
| „გოიაზანი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 10-9 | 8 |
| „ხაზარი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 9-11 | 8 |
| „დინამო“ | 8 | 3 | 1 | 4 | 10-10 | 7 |
| „თერგი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 7-9 | 7 |
| „ატომმაში“ | 8 | 2 | 2 | 4 | 9-8 | 6 |
| „ლოკ.“ (მინ. წ.) | 8 | 2 | 2 | 4 | 5-11 | 6 |
| „ტორპედო“ ვ. | 8 | 2 | 1 | 5 | 9-14 | 5 |
| „ლოკომ.“ ომც | 8 | 1 | 1 | 6 | 9-17 | 3 |
| „ბაკინეცი“ | 8 | 1 | 1 | 6 | 3-16 | 3 |

II ლიგის საკავშირო ჩემპიონატის III ზონის XI ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 1:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „ისკრა“ (ერევანი) 2:0, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 1:1, „ნარტი“ (ჩერკესკი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 6:2, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „ურალანი“ (ელისტა) 2:1, „ლუჩი“ (აზოვი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 2:1.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ.“ ოქ. | 11 | 6 | 3 | 2 | 20-10 | 15 |
| „სპარტ.“ ნჩ. | 10 | 6 | 2 | 2 | 14-8 | 14 |
| „ლოკომოტივი“ | 11 | 6 | 1 | 4 | 14-8 | 13 |
| „ტორპედო“ | 11 | 5 | 3 | 3 | 16-13 | 13 |
| „სპარტ.“ ტმ. | 10 | 6 | 0 | 4 | 17-17 | 12 |
| „მეტალურგი“ | 10 | 5 | 2 | 3 | 19-9 | 12 |
| „კოლხეთი“ | 10 | 5 | 2 | 3 | 9-9 | 12 |
| „ლორი“ | 10 | 5 | 1 | 4 | 14-13 | 11 |
| „დინამო“ | 11 | 5 | 1 | 5 | 9-9 | 11 |
| „ცემენტი“ | 10 | 3 | 5 | 2 | 10-9 | 11 |
| „ისკრა“ | 11 | 4 | 2 | 5 | 7-16 | 10 |
| „სპარტ.“ ან. | 10 | 4 | 1 | 5 | 11-16 | 9 |
| „ვოლგარი“ | 10 | 4 | 1 | 5 | 8-14 | 9 |
| „ნარტი“ | 11 | 3 | 3 | 5 | 18-17 | 9 |
| „ლუჩი“ | 11 | 4 | 0 | 7 | 15-19 | 8 |
| „ოლიმპია“ | 10 | 4 | 0 | 6 | 12-19 | 8 |
| „დრუჟბა“ | 10 | 3 | 2 | 5 | 13-8 | 8 |
| „ურალანი“ | 9 | 3 | 1 | 5 | 14-13 | 7 |
| „მერცხალი“ | 10 | 3 | 1 | 6 | 10-18 | 7 |
| „მაშუკი“ | 10 | 1 | 5 | 4 | 6-11 | 7 |

## I ლიგა

დუშანბეს „პამირისა“ და ბათუმის „დინამოს“ მატჩში, რომელიც „პამირმა“ მოიგო ანგარიშით 4:1, ბათუმელთაგან ბურთი გაიტანა მენაბდემ. მანვე ვერ შეძლო მასპინძელთა კარში დანიშნული 11-მეტრიანის რეალიზება.

# ლეონიდ ბურიაკი ფინეთს მიემგზავრება

სსრ კავშირის თასი ფეხბურთში სულ ახლახან მოიგო ხარკოვის „მეტალისტმა“ და ფინალური მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“ უკანასკნელი იყო სპორტის დამსახურებულ ოსტატ ლეონიდ ბურიაკისთვის, რომელიც ხარკოველთა რიგებში გამოდიოდა.

ეს ჯილდო უკანასკნელი გამოდგა 35 წლის ფეხბურთელისთვის. ლ. ბურიაკი ხუთჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, სამჯერ ფლობდა სსრ კავშირის თასს, აგრეთვე, ევროპის თასების მფლობელთა თასს და სუპერთასს კიევის დინამოელთა შემადგენლობაში. ლ. ბურიაკი ფინეთის კლუბმა „ჰემიმ“ მიიწვია. ვეტერანი ფეხბურთელი ფინეთის ამ კლუბს დაუკავშირდება პროფესიული კონტრაქტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორიენტირი — ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

# ჩქარობენ ხუთჭიდელები

ეს საუბარი ასპარეზობის დამთავრებისთანავე, „ცხელ კვალზე“ შედგა. ის-ის იყო დამთავრდა რესპუბლიკის იუნიორ და ჭაბუკ ხუთჭიდელთა პირველობა და მეორე დღესვე ისევ დარბაზს (ამჯერად ფარიკაობისას) მიაშურეს სავარჯიშოდ. დიახ, ისინი ახლა ცაიტნოტში არიან და ყოველი საათი ოქროს ფასად უღირთ. მათთან ერთად დროის დეფიციტს განიცდიან მწვრთნელებიც, რომლებსაც საქმე თავსაყრელად აქვთ. წინ ხომ ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების ტურნირია, რომელსაც 1-7 ივლისს ქალაქი უფა უმასპინძლებს.

— კარს მომდგარი თამაშებისათვის ერთიანი მზადება, — თქვა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ამირან შეროზიამ, — ჯერ კიდევ შარშანდელი სექტემბრიდან დავიწყეთ. მანამდე კი სპორტსმენები თავიანთ კლუბებში ვარჯიშობდნენ.

ხუთჭიდელთა კონტინგენტიც 1987 წლის მაჩვენებლების გათვალისწინებით შევარჩიეთ. ანგარიშში მიიღებოდა მათი გამოსვლები საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოებისა და რესპუბლიკურ პირველობებში. უფის სტარტებისათვის ვამზადებთ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მწვრთნელების თენგიზ ახალშენიშვილისა და მურთაზ ბარამიძის მოწაფეებს, ათ-თორმეტ ჭაბუკს. ესენი არიან: ვიაჩესლავ მალიშევი, ბორის კაცებინი, ალექსანდრე ბასისტი, მათთან ერთად დინამოელები ნოდარ შამოიანი, იგორ დავიდოვი, გია ბერძენიშვილი, კონსტანტინე ზესკარავაინი, რომლებთანაც მუშაობენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ი. მურომცევი, თ. გოგინაშვილი, ა. კრავჩენკო და მწვრთნელი ი. კლიმენკო. დასახელებულ ხუთჭიდელთაგან უფაში 6 გაემგზავრება, სადაც გამოვა ჩვენი სამი ხუთჭიდელი და ორი სამჭიდელი (სროლა, ცურვა, რბენა), ერთი სპორტსმენი კი სათადარიგო იქნება.

— როგორი განწყობილებით, უფრო ზუსტად კი რა პროგნოზით მიემგზავრებით ასპარეზობაზე?

— მაშინაც კი, როცა შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება, ძალზე ძნელია ჩვენს დარგში წინასწარ რაიმეს განსაზღვრა, რადგან აქ ძალზე ხშირია მოულოდნელობანი. ასე რომ, მოდით, თავი შევიკავოთ პროგნოზებისაგან. ისე კი ჩვენი ძალების ობიექტური შეფასებით, გუნდურ მეექვსე ადგილს ვუმიზნებთ.

— როგორ ემზადება ჩვენი გუნდი ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის?

— ბაზებით დავიწყებ — ჩვენს განკარგულებაშია ვაკის საცურაო აუზი, დელისის იპოდრომის საკონკურო მინდორი, „დინამოს“ სტადიონის საფარიკაო დარბაზი, ასკ-ის ტირი და ლისისა და კუს ტბის, აგრეთვე მანეჟის სარბენი ბილიკები. ყოველდღიურად სამი-ოთხი (10-12 საათი) ვარჯიში უწევთ ჭაბუკ სპორტსმენებს. ასეთი ერთფეროვანი რეჟიმი, რა თქმა უნდა, მომქანცველია და კარგს არაფერს მოიტანს. ამიტომ ვცდილობდით, რაც შეიძლებოდა მეტ ასპარეზობაში მიგვეღო მონაწილეობა. ეს გაწეული მუშაობის შეჯამების, გამოცდილების შეძენისა და სპორტსმენთა მზადებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის საშუალებას გვაძლევდა.

უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. დეკემბერ-იანვარში მოსკოვის ბიტცის ცხენოსნურ ბაზაზე ერთთვიანი შეკრების შედეგად, იქვე, მოსკოვის ღია ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დავიკავეთ. იგივე ადგილი გვერგო მარტში ლატვიის დედაქალაქ რიგაში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე, პირად პირველობაში კი საუკეთესო იყო ნოდარ შამოიანი. იმავე პერიოდში ყველას ვაჯობეთ მშობლიურ ქალაქში საკავშირო ზონალურ ასპარეზობაზე. მაისში მინსკში ბელორუსიის ღია პირველობაზე, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ლატვიის, გომელის, მოგილიოვისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლებიც იბრძოდნენ, საპატიო მესამე ადგილი მოვიპოვეთ, ხოლო თბილისელი იგორ დავიდოვი მეორე პრიზიორი გახდა.

— რას იტყვით პრობლემების შესახებ?

— თანამედროვე ხუთჭიდი სპორტის ისეთი სახეობაა, რომ აქ ოსტატობას მასობრიობით ვერ აამაღლებ. გულახდილად ვიტყვი, რომ ეს მართლაც ელიტარული სახეობაა, რომელიც დიდ შრომასა და ხელშეწყობას მოითხოვს. ამასთან მას ყველგან ვერ დანერგავ, მაგალითად, იმავე თელავში, გურჯაანში, ბოლნისში, ლანჩხუთში... ეს იმითაა განპირობებული, რომ იქ ცხენები არ ჰყავთ. ამ მხრივ მისასალმებელია სოხუმელი სპორტის ოსტატის გიორგი გოგუაძის მაგალითი. აი, უკვე მეორე წელია, რაც მისი აღსაზრდელები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა ასპარეზობაში. განვლილ შეჯიბრებაზე კი ამ ზღვისპირა ქალაქის წარმომადგენელმა ალექსეი ბელოუსოვმა საპატიო მესამე ადგილი დაიკავა. მაგრამ საქმე ის არის, რომ გოგუაძეს ჯერ კიდევ აკლია სათანადო ყურადღება, რათა მან უფრო მაღალი კლასის სპორტსმენები მოგვცეს.

საერთოდ კი რესპუბლიკაში თანამედროვე ხუთჭიდის ფართო კულტივირებისათვის აუცილებელია შეიქმნას ცენტრი, სადაც 12-15 წამყვანი სპორტსმენი უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ინვენტარით, საწვრთნელი ბაზით, კვებითა და საცხოვრებლით. თორემ რა გამოდის? ფიზკულტურის ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა, რომელიც პროფკავშირებს ეკუთვნის, სავარჯიშოდ იჯარით იღებს ასკ-ის კომპლექსს, სადაც ისინი, მაინცდამაინც სასურველი სტუმრები არ არიან. მაგალითად, კომპლექსის ტირში საუკეთესო დრო მრავალჭიდელ ოფიცრებს ეთმობათ, აუზი კი — არმიელ წყალბურთელთა გუნდს და ა. შ.

ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ პროფკავშირული უწყების სპორტსკოლის წარმომადგენელთ ემეცადინათ იქვე, „ბურევესტნიკის“ კომპლექსში, რომელიც ზედგამოჭრილია თანამედროვე ხუთჭიდისათვის — თავისი ტირით, აუზითა და ვრცელი დარბაზებით.

— იმედია, თქვენს მოსაზრებებს გაითვალისწინებენ სათანადო უწყებები და საჭირო დასკვნებს გამოიტანენ.

— ღმერთმა ქნას, რომ ასე მოხდეს. ეს დიდი ხელშეწყობა იქნება ჩვენში ამ რაინდული სპორტის განვითარებისათვის.

**ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე.**

# ვ. ვ. ნასარიძე



ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, რომელსაც 39 წელი ოქტომბერში შეუსრულდებოდა, მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების განყოფილების უფროსი ვლადიმერ ვალერიანის ძე ნასარიძე.

ფეხბურთის სიყვარული ვ. ნასარიძეს ბავშვობიდანვე დაჰყვა. იგი დაიბადა თბილისში, მოსწავლეობის წლებში თამაშობდა ქალაქის ბავშვთა გუნდებში. 1968 წელს შევიდა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა. წარმატებით გამოდიოდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, რომლის კაპიტანიც იყო, თამაშობდა ოსტატთა გუნდებში, მათ შორის თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში. ტრავმის გამო ადრე დაანება თავი თამაშს, მაგრამ ფეხბურთთან კავშირი არ გაუწყვეტია. სხვადასხვა დროს მუშაობდა „განთიადის“, „დინამოს“ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბავშვთა გუნდების მწვრთნელად, შემდეგ — თბილისის 134-ე სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლაში დირექტორის მოადგილედ, მერე კი ფეხბურთის პროფილის ოლიმპიური რეზერვის 35-ე ზოგადსაგანმანათლებლო საექსპერიმენტო სკოლის დირექტორი იყო. 1986 წლიდან მუშაობდა საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების განყოფილების უფროსად, დამთავრებული ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი.

მოულოდნელი იყო ვ. ნასარიძის გარდაცვალება. იგი მუდამ მჭიდროდ დაკავშირებული იყო ბავშვთა ფეხბურთთან, მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა ნორჩებთან მუშაობას, ხარობდა მათი მიღწევებით, დღენიადაგ ეძებდა ნიჭიერ, პერსპექტიულ ბავშვებს, რათა დიდ სპორტულ გზაზე გამოეყვანა ისინი.

ვლადიმერ ნასარიძემ, ამ კეთილმა, გულისხმიერმა ადამიანმა, წარუშლელი ხსოვნა დატოვა მათში, ვინც მასთან იმყოფებოდა ოჯახში, ახლობლებში, სამუშაოზე და, საერთოდ, ცხოვრებაში.

**საქართველოს სსრ სპორტსახკომი, ფეხბურთის სამმართველო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 16 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: ინგლისი (ნაკრები) — ჰოლანდია (ნაკრები), ირლანდია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები). 15 ივნისის მატჩების მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერი — **10.30 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.25 (2)**.

**17 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: გფრ (ნაკრები) — ესპანეთი (ნაკრები) — **23.10 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია. 16 ივნისი.** ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: ინგლისი (ნაკრები) — ჰოლანდია (ნაკრები), ირლანდია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები). მეორე ტაიმი — **10.30.**

**17 ივნისი.** ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: გფრ (ნაკრები) — ესპანეთი (ნაკრები) — **23.10.**

## ინფორმაცია

**კუალა-ლუმპური** (მალაიზია). კალათბურთელ ქალთა ოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრების ფინალურ ტურნირში მეორე გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა — ამჯერად მან იუგოსლავიის გუნდი დაამარცხა — 70:66 (32:35). ჩინეთის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდს აჯობა — 69:65 (41:27). აღნიშნული კოლექტივების გარდა ასპარეზობაში მონაწილეობენ ავსტრალიის, ბულგარეთის, იტალიისა და პოლონეთის გუნდები. შეჯიბრება დამთავრდება 19 ივნისს. სეულის ოლიმპიადის საგზურს ექვსი კოლექტივი მიიღებს.

# ჩოგბურთის ამბები

**უიმბლდონის** ტურნირის წინ ინგლისში საერთაშორისო ტურნირები უმეტესად ბალახის კორტებზე ტარდება. ეს თავისებური რეპეტიციისათვის არის საჭირო სეზონის მთავარ ასპარეზობაში წარმატებით გამოსასვლელად.

ლონდონში გამართული ტურნირის ფინალში ერთმანეთს ბორის ბეკერი (გფრ) და სტეფან ედბერგი (შვეცია) შეხვდნენ. დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა, რომელიც ჟურნალისტების აზრით ჩინებულ ფორმაშია, ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ბალახის კორტების უბადლო ოსტატად ტყუილ-უბრალოდ როდი თვლიან. ბეკერმა გაიმარჯვა — 6:1, 3:6, 6:3.

ბირმინგემის ქალთა ანალოგიურ შეჯიბრებაში კლაუდია კოდე-კილშმა (გფრ) ამერიკელი პამ შრაივერი დაამარცხა (6:1, 6:2) და პირველი ადგილი დაიკავა.

ამასობაში იტალიის ქალაქ ბოლონიაში დამთავრდა გრან-პრის პროგრამით გათვალისწინებული ვაჟთა ტურნირი, რომელშიც 19 წლის არგენტინელმა ალბერტო მანჩინიმ მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა — ფინალში ძლიერ ესპანელს ემილიო სანჩესს აჯობა — 7:5, 7:6.

**ლონდონი.** გაიმართა უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირის პირველი შეხვედრების კენჭისყრა (შეჯიბრება, როგორც ცნობილია, 20 ივნისს დაიწყება). საბჭოთა სპორტსმენები პირველ ტურში შეხვდებიან: ანდრეი ჩესნოკოვი — უდო რიგლევსკის (გფრ), ალექსანდრე ვოლკოვი — ტიერი შამპიონს (საფრანგეთი), სვეტლანა პარხომენკო — ჯილ ჰერინგტონს (კანადა), ლარისა სავჩენკო — ჯენი ბირის (ავსტრალია), ნატალია ბიკოვა — ევა კრაპლს. ნატალია ზვერევასა და ლეილა მესხის მეტოქეების ვინაობას საკვალიფიკაციო შეჯიბრების შემდეგ გავიგებთ.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

**16 ივნისი**

**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი**

**„დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)**

დასაწყისი 20 საათზე.

**საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი**

**საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი აცხადებს მიღებას 1988 წლისათვის:**

ტექნიკუმის ქართულ და რუსულ სექტორებზე, მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ საშუალო და ცხრა კლასის განათლება.

სწავლის ვადა ცხრა კლასის დამთავრებულთათვის 3 წელია, ხოლო საშუალო სკოლის დამთავრებულთათვის — 2.

ტექნიკუმდამთავრებულს მიენიჭება „ფიზიკური კულტურის მასწავლებლის“ კვალიფიკაცია.

ტექნიკუმში შემსვლელმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინოს:

ატესტატი სკოლის დამთავრების შესახებ, მშდ-ის კომპლექსის ჩაბარების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელ ადგილიდან, ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან, სამედიცინო ცნობა № 086, 6 ფოტოსურათი 3X4, სპორტული საკლასიფიკაციო ბილეთი.

პასპორტს, დაბადების მოწმობას და საბუთს სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ შემსვლელი წარმოადგენს პირადად.

**განცხადებების მიღება დაიწყება 1 ივლისიდან და შეწყდება ერთი დღით ადრე გამოცდის დაწყებამდე**

**მისაღები გამოცდები ტარდება:**

9 კლასის დამთავრებულთათვის — 4-13 აგვისტომდე.
საშუალო სკოლის დამთავრებულთათვის — 15-23 აგვისტომდე.
ტექნიკუმში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ტარდება:
სპორტის არჩეულ სპეციალობაში და საერთო ფიზიკურ მომზადებაში,
აგრეთვე 9 კლასის დამთავრებულთათვის:
მათემატიკაში (ზეპირი), მშობლიურ ენაში (კარნახი);
საშუალო სკოლა დამთავრებულთათვის:
სსრკ ისტორია (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება).

სსრკ სპორტის ოსტატები სპორტულ დისციპლინაში მისაღები გამოცდებიდან თავისუფლდებიან.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით, საერთო საცხოვრებლით და სატაბელო სპორტული ფორმით.

მისამართი: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქუჩა № 6. ტელ. 95-88-50, 95-30-06.

**დირექცია.**

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი და „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის სპორტსახკომის სპორტული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი

**რევაზ ანდრიას ძე ცომაია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10783